გენდერული იდენტობის რეპრეზენტაცია სოციალურ მედიაში (სალომე ზურაბიშვილისა და ტერეზა მეის პოლიტიკური „ტვიტების“ სოციოლინგვისტური ანალიზი)

მირანდა ვოსკანიანი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ინგლისურ ფილოლოგიაში ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა: ანგლისტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო გულიაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წადგენილი სამაგისრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებშიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მირანდა ვოსკანიანი

14.06.2023

მადლობა

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ხელძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს ნინო გულიაშვილს, დახმარებისთვის და თანამშრომლობისთვის.

აბსტრაქტი

მოცემული კვლევა ემყარება პოლიტიკოსი ქალების სალომე ზურაბიშვილისა და ტერეზა მეის სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ ტვიტებს. მოცემული პოსტები გაანალიზებულია სოციოლინგვისტურ ჭრილში და ეფუძნება რამდენიმე თეორიას. ეს თეორიებია: გენდერის დისკურსული თეორია, სამეტყველო აქტებისა და ლინგვისტური თავაზიანობის თეორიები. კვლევა ჩატარებულია ბოლო 2 წელიწადში ტვიტერში გამოქვეყნებულ პოსტებზე დაყრდნობით. აღსანიშნავია, რომ ჯამურად არჩეულია 100 ტვიტი. კვლევის შედაგად გავაანალიზეთ, თუ რა სტრატეგიებს იყენებენ ქართველი და ბრიტანელი პოლიტიკოსები, რა სიხშირითაა დაწერილი ესა თუ ის თემატიკის პოსტი და რა ტიპის დისკურსული და პრაგმატული მახასიათებლები გააჩნია მათ ტექსტებს. განვახორციელეთ დაკვირვება სამეტყველო აქტების თეორიის ურთიერთმიმართებაზე სოციალურ მედიაში გამოქვეყნებულ პოსტებთან. შედეგების სოციოლინგვისტური და პრაგმატული გაანალიზების საფუძველზე ნაშრომში წარმოვადგენთ სოციალურ მედიაში ლინგვისტური სტრატეგიების ემპერიული და თეორიული რეპრეზენტაციის საკითხებს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: *თავაზიანობა, სახის შემლახავი აქტები, დეიქსისი, ანაფორა, კატაფორა, ენა, გენდერი, სამეტყველო აქტი.*

Abstract

The current research is based on the social media posts made in Twitter by female politicians Salome Zourabichvili and Theresa May. These posts are analysed from a sociolinguistic perspective and are based on several theories, such as: gender discourse theory, speech act theory, and linguistic politeness. The research is conducted on tweets posted over the last 2 years. It should be mentioend that 100 tweets have been chosen in total. The conclusion of the research reveals, which linguistic strategies are used by Georgian and British politicians, how frequently the posts regarding the certain themes are posted, and which pragmatic and language identifiers are included in the texts. The present work scrutinizes and discursively analyzes the relevance between the speech act theories and social media publications. According to the sociolinguistic and pragmatics analysis, we represent empirical and theoretical issues regarding the linguistic strategies used in the social media.

Keywords*: politeness, face threatening acts, deixis, anaphora, cataphora, language, gender, speech acts.*